



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 195

2016 წლის 29 სექტემბერი

ქ. თბილისი

„მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2016 წლის კონკურსის
გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2016 წლის 09 თებერვლის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და
მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის
„ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის
დეპარტამენტის უფროსის გიორგი ხიშტოვანის სამსახურებრივი ბარათის (N1165537,
29.09.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით
დაფინანსების 2016 წლის კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 039 თებერვლის №18
ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ დანართ ერთში და:

ა) დანართის მე-5 მუხლის მე-9, მე-10, მე-11, მე-12 და მე-19 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი
რედაქციით:

„9. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (ამ ბრძანების დანართი 10), მინიჭებული
სარეგისტრაციო შიფრის მითითებით, რომელიც სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ
ხელმოწერილია 2016 წლის 4 ივლისიდან 2016 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში;

10. ცნობა უსდ-დან, რომ მაგისტრანტი სწავლობს აკრედიტებულ სამაგისტრო პროგრამაზე,
რომელიც გაცემულია 2016 წლის 4 ივლისიდან 2016 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში;

11. მაგისტრანტის სტუდენტის აქტიური სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნება, თუ რომელ სემესტრზე იმყოფება მაგისტრანტი. ცნობა გაცემული უნდა იყოს 2016 წლის 4 ივლისიდან 2016 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე, მაგისტრანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს სტუდენტის აქტიური სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი სემესტრის მითითებით.

12. მაგისტრანტის მიერ პროექტის მიზნებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ან სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უსასყიდლოდ გამოყენების შესახებ. (ამ ბრძანების დანართი 11) რომელიც გაცემულია 2016 წლის 4 ივლისიდან 2016 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში;

„19. საბუთი თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული, რომელიც გაცემულია 2016 წლის 4 ივლისიდან 2016 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში; უცხოური ორგანიზაციის შემთხვევაში ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებულ შესაბამის ქართულ თარგმანთან ერთად.“

ბ) მე-6 მუხლის 1-ელი და მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გრანტის მაძიებელმა მაგისტრანტმა კონკურსში პროექტის დასარეგისტრირებლად წარმოსადგინი დოკუმენტები უნდა გააფორმოს რეგისტრაციის ინსტრუქციის მიხედვით და გამოგზავნოს ელექტრონულ ფოსტით შემდეგ მისამართზე: mr@rustaveli.org.ge 2016 წლის 4 ივლისიდან 2016 წლის 24 ოქტომბრის 17:00 სთ-ის ჩათვლით.“

„4. გრანტის მაძიებელმა უნდა შეავსოს „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“, (სათანადო ადგილას მიუთითოს ელ.ფოსტით მიღებული, პროექტისათვის მინიჭებული სარეგისტრაციო შიფრი) დაამოწმოს იგი შესაბამისი ხელმოწერებით და წარადგინოს ფონდის კანცელარიაში არაუგვიანეს 2016 წლის 28 ოქტომბრის 17:00 სთ-სა.“

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

მარინე ჩიტაშვილი

